საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს სახალხო დამცველი

№2 პერიოდული გამოცემა 2017 წ. თებერვალი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები 2
3. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და საერთაშორისო ვიზიტები 4
4. სახალხო დამცველის რეკომენდაციები, წინადადებები და ზოგადი წინადადებები 5
5. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა 6
   სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები 9
6. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა 9
7. წარმატებული საქმეები 10
8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 11
9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 12

თებერვალში საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში ჩვენი 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშის შესახებ პარლამენტის მიერ დადგენილებაში ასახული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა განიხილეს. 3 დღის განმავლობაში 14–მა უწყებამ 203 რეკომენდაციის შესრულების შესახებ ანგარიში წარმოადგინა. ანგარიშების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ ჩვენი ოფიციალური ვებგვერდის სიახლეებში იხილოთ. ჩემი შეფასებით, რეკომენდაციათა გარკვეული ნაწილი ამ დრომდე შეუსრულებელია, ან მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებული.

მივესალმები საქართველოს პარლამენტის მიერ უკვე ტრადიციად ქცეულ წესს სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის შესახებ სპეციალური დადგენილების მიღების შესახებ, რაც ხელს უწყობს აღმასრულებელი ორგანოების ანგარიშვალდებულების გაზრდას და ეფექტური საპარლამენტო ზედამხედველობის შექმნისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს. ამავე დროს, იმედს გამოვთქვამ, რომ ხელისუფლება უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტის ამაღლებისათვის აუცილებელ საქმიანობას.

არ შემიძლია ჩემი მკაფიოდ ნეგატიური პოზიცია არ გამოვხატო მაუწყებლის ახალი გენერალური დირექტორის და აღმასრულებელი საბჭოს „სამწლიანი სამოქმედო გეგმის" მიმართ, რომელიც გადაცემების დახურვასა და ფინანსური რესურსის მთლიანად ახალი შენობის მოწყობაზე, ტექნიკურ განახლებასა და რეგიონული ოფისების შესყიდვაზე დახარჯვას გულისხმობს. არაერთი განცხადება გავაკეთე საზოგადოებრივი მაუწყებლის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებზე, იდეასა და მიზნებზე. ხაზი გავუსვი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების, წინასაარჩევნო დებატების, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თუ ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნების გაშუქების მნიშვნელობას. ეს ის საკითხებია, რომელთა შეფასება რეიტინგით არ შეიძლება. ამ სახის გადაცემები ხშირად სწორედ მოწყვლად უმცირესობებზეა გათვლილი და მათი უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული, რასაც კერძო მაუწყებლები ფაქტიურად არ აფინანსებენ. ამასთან, აქვე რეიტინგის სანდოობის საკითხიც დგას.

ცალკე გამოვყოფდი „ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ" კანონპროექტს, რომელიც სსიპ საქართველოს ოპერატიულ–ტექნიკური სააგენტოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტროლის ქვეშ შექმნას გვთავაზობს, რაც რა თქმა უნდა, ვერც პირად ცხოვრებაში დაუსაბუთებელი ჩარევისგან დაცვას უზრუნველყოფს და ვერც საზოგადოების ნდობის აღდგენას შეუწყობს ხელს.

თებერვალში ერთ–ერთ გახმაურებულ საქმეს დეკანოზ გიორგი მამალაძის დაკავება წარმოადგენდა, სადაც აშკარად გამოიკვეთა როგორც უდანაშაულობის პრეზუმფციის, ასევე მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის და პროცესუალური უფლებების დარღვევების ნიშნები.

ქვემოთ მოცემულ საინფორმაციო ბიულეტენში ასევე იხილავთ ჩვენს მიერ მომზადებულ წინადადებებსა და რეკომენდაციებს, წარმატებულ საქმეებს, ასევე ინფორმაციას რამდენიმე პრეზენტაციის შესახებ, მათ შორის არის: 2016 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონისა და პრაქტიკის ანალიზი და რეკომენდაციები, სპეციალური ანგარიში ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ქალთა და ბავშვთა უფლებების მდგომარეობის შესახებ, ასევე, საჯარო დებატები ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და საგზაო უსაფრთხოების პრობლემებზე. გაეცნობით ჩვენი აპარატის მიერ გაწეულ საქმიანობას, საერთაშორისო სივრცეში ადამიანის უფლების დაცვის თვალსაზრისით მიმდინარე განსაკუთრებით საყურადღებო სიახლეებს და სხვა. იმედი მაქვს, ჩვენს საინფორმაციო ბიულეტენს სიამოვნებითა და ინტერესით გაეცნობით.

2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები

2.1. სახალხო დამცველის განცხადება გამყოფ ხაზზე დაკავებულებთან დაკავშირებით

7 თებერვალი. ცხინვალის დე ფაქტო სასამართლომ 20 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა საქართველოს მოქალაქე გიორგი გიუნაშვილს, რომელიც 2016 წლის 8 ივნისს ე.წ „საზღვრის უკანონო გადაკვეთის" ბრალდებით დააკავეს, თუმცა მოგვიანებით ბრალი „უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში" მონაწილეობის გამო დაუმძიმეს.

ეს სამწუხარო ფაქტი ადასტურებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ კვლავ გრძელდება უფლებების უხეში დარღვევა. ხდება მათთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა და დაბრუნების უფლების შელახვა.

სახალხო დამცველი მიმართავს სამხრეთ ოსეთის დეფაქტო ხელისუფლებას მიიღოს ქმედითი ზომები გიორგი გიუნაშვილის დარღვეული უფლებების აღსადგენად და გაათავისუფლოს იგი; ასევე მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი მოქალაქის უკანონო პატიმრობიდან გასათავისუფლებლად. ამის, გარდა, საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ უნდა დააყენოს ინიციატივა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში თავისუფლება აღკვეთილ მოქალაქეთა გათავისუფლების მიზნით.

2.2. განცხადება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით ინიცირებული კანონპროექტის შესახებ

10 თებერვალი. საქართველოს სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით პარლამენტში ინიცირებულ კანონპროექტს. კანონპროექტი გვთავაზობს სსიპ საქართველოს ოპერატიულ–ტექნიკური სააგენტოს შექმნას, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში, შესაბამისად, ამ სამსახურის კონტროლის ქვეშ იქმნება.

კითხვის ნიშნებს ბადებს სააგენტოს უფროსის არჩევის წესიც. კერძოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი სპეციალური კომისიას წინასწარ უკვე შერჩეულ სამ კანდიდატს წარუდგენს, რომელთა შერჩევის პროცესი და კრიტერიუმები კანონპროექტით განსაზღვრული არ არის.

სახალხო დამცველის აზრით, საქართველოს პარლამენტს აკისრია უმნიშვნელოვანესი როლი და პასუხისმგებლობა, შეიმუშავოს ისეთი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს პირად ცხოვრებაში დაუსაბუთებელი ჩარევისგან დაცვას და ხელს შეუწყობს ამ პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობის აღდგენას.

2.3. განცხადება დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმესთან დაკავშირებით

16 თებერვალი. დეკანოზ გიორგი მამალაძის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს მთავარ პროკურატურასა და სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირებს, პატივი სცენ უდანაშაულობის პრეზუმფციას და სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობის პრინციპს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის საჯარო განცხადების **თანახმად,** ბრალდებულს უნდა მოეხდინა მაღალი იერარქიის სასულიერო პირის სიცოცხლის ხელყოფა. პროკურატურის განცხადების შემდეგ პარლამენტის და მთავრობის წევრებმა აღნიშნეს, რომ დეკანოზის დაკავებით საქართველოს კათალიკოს–პატრიარქის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება. ცხადია, ასეთი განცხადებები საზოგადოებას სავარაუდო დანაშაულის ადრესატად სწორედ პატრიარქზე მიანიშნებს.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. საჯარო პირებს გამოძიების პროცესში განსაკუთრებული ვალდებულება აკისრიათ, თავი შეიკავონ ნებისმიერი განცხადების გაკეთებისაგან, რომლითაც შესაძლებელია წინასწარ ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი აზრი ბრალდებულის დამნაშავეობასთან დაკავშირებით.

2.4. განცხადება ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ

17 თებერვალი. 2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებით ფსიქიკური ჯანმრთელობის დაფინანსების მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილებებით, დაფინანსების არსებული მოდელის ფარგლებში სერვისის მიმწოდებელთა ნაწილი, კერძოდ, მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულებები უარს აცხადებს სახელმწიფო პროგრამაში ჩართვასა და შესაბამისი მომსახურების გაწევაზე.

აღსანიშნავია, ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მიერ ფსიქიატრიული დახმარების მიწოდებაზე უარის თქმის გამო, სტაციონარებში ფაქტიურად ერთი მესამედით გაიზარდა პაციენტთა მიმართვიანობა. მონიტორინგმა აჩვენა, რომ ამ ეტაპზე, დაფინანსების მეთოდოლოგიის ცვლილებას სტაციონარის მომარაგებაზე გავლენა არ მოუხდენია, თუმცა არც მდგომარეობის გაუმჯობესების რესურსი არსებობს.

სახალხო დამცველი მუდმივად უსვამს ხაზს, რომ ფსიქიატრიული დახმარების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია დაფინანსების გაზრდა, დაფინანსების მეთოდოლოგიის შეცვლა, კვალიფიციური პერსონალის საკმარისი რაოდენობა, დაწესებულებებში მატერიალური პირობების გაუმჯობესება, დეინსტიტუციონალიზაციის იდეის განხორციელების მიზნით, სათემო სერვისების განვითარების და ზოგადი პროფილის საავადმყოფოებში ფსიქიატრიული დახმარების მიწოდების ხელშეწყობა.

სამწუხაროდ, ფსიქიკური ჯამრთელობის სფეროში კვლავ მძიმე ვითარებაა, რაც დაუყოვნებელ რეაგირებას საჭიროებს. სახალხო დამცველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ყველა დაინტერესებულ მხარეს დიალოგისკენ მოუწოდებს, რათა მოიძებნოს არსებული პრობლემების გადაჭრის გონივრული გზები.

2.5. ა.ბ. „ლიკანისა“ და „კოკა-კოლის“ გადაჭრილი ბოთლების აღმოჩენის გამო დააკავეს

24 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა დაგმო სამართალდამცავი ორგანოების მიერ მოქალაქის უკანონო დაკავების ფაქტი, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა–შენახვის ბრალდებით, რისთვისაც კანონი ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. დაკავების საფუძველი გახდა საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული გადაჭრილხუფიანი ბოთლები (ნამწვით), გასანთლული ქაღალდი და 6 ცალი შპრიცი. ჩხრეკას სახალხო დამცველის წარმომადგენელიც დაესწრო.

უნდა აღინიშნოს, რომ ა.ბ.–ს დაკავება სასამართლოს განჩინების საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, ამოღებულ ნივთებზე ნარკოტიკული საშუალების კვალის აღმოჩენის შემთხვევაში.

ხაზგასასმელია, რომ მოქმედი კანონმდებლობით პირისთვის თავისუფლების აღკვეთა მარიხუანას პირადი მოხმარების მიზნით შეძენისა და შენახვის გამო არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ზემოხსენებული ბოთლები წარსულში გამოყენებული იყო აღნიშნული მიზნით, ა.ბ.–ს დაკავება ერთმნიშვნელოვნად არღვევს კონსტიტუციას.

3. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და საერთაშორისო ვიზიტები

3.1. შეხვედრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩთან

2 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და სახალხო დამცველის პირველი მოადგილე ნათია კაციტაძე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალ ელჩს ჰაიკე რენატე ფაიჩის შეხვდნენ და საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე, მართლმსაჯულების სფეროში მიმდინარე რეფორმებზე, პენიტენციურ სისტემაში არსებულ ვითარებაზე, სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების კუთხით გაცემულ რეკომენდაციებზე მიაწოდეს ინფორმაცია. განიხილეს ასევე საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობა, კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა. ყურადღება გაამახვილეს ეფექტიანი შრომის ინსპექციის შექმნის რეკომენდაციაზე.

3.2. გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის (UNHCR) რეგიონულ წარმომადგენელთან

6 თებერვალს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და სახალხო დამცველის პირველი მოადგილე ნათია კაციტაძე სამხრეთ კავკასიაში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ახლადდანიშნულ წარმომადგენელს იოჰანეს ფან დერ კლაუს შეხვდნენ.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოში დევნილთა, კონფლიქტით დაზარალებულთა, ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივ მდგომარეობაზე, მათი პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის მიზნით, საჭიროებაზე მორგებულ მიდგომაზე გადასვლის მნიშვნელობაზე. აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია გაძლიერდეს მუშაობა დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდის კუთხით და სახალხო დამცველის აპარატის მიერ ამ მიმართულებით გაწეულ სამუშაოებზე.

3.3. შეხვედრა კანადის ელჩთან

7 თებერვალს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვ-

ილმა კანადის ელჩთან საქართველოში, თურქეთში, თურქმენეთსა და აზერბაიჯანში კრის კუტერთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე სხვა საკითხებთან ერთად შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობის საკითხი, საკონსტიტუციო კომისიის მუშაობისა და სასამართლო რეფორმის მიმდინარეობა განიხილეს.

4. სახალხო დამცველის რეკომენდაციები, წინადადებები და ზოგადი წინადადებები

4.1. რეკომენდაცია იუსტიციის სამინისტროს და 11 საჯარო სამართლის იურიდიულ პირს

საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მის 11 საჯარო სამართლის იურიდიულ პირს რეკომენდაციით მიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის“ (IDFI) საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვასთან დაკავშირებით.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან და მისი საჯარო სამართლის იურიდიული პირებიდან გამოითხოვა თანამდებობის პირების, საშტატო და შტატგარეშე თანამშრომლების შრომის ანაზღაურების, პრემიებისა და დანამატების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე, უწყებათა საშტატო ნუსხები და დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მივლინებებზე, შესყიდულ ქონებასა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები და სხვა საჯარო ინფორმაცია; თუმცა, ყველა ამ უწყებამ მისი განცხადებები უპასუხოდ დატოვა.

გამოთხოვილი ინფორმაცია უწყებებმა არც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიაწოდეს, რაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1734 მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს.

4.2. წინადადება მთავარ პროკურატურას, პოლიციის მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის თაობაზე

1 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან მოქალაქისადმი შესაძლო არასათანადო მოპყრობისა და სხვა შესაძლო დარღვევების შესახებ.

გ.გ.-ს გადმოცემით, დაკავებისას და შემდგომ, პოლიციის თანამშრომლები თითქმის მთელი ღამის განმავლობაში აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. აღნიშნულ გარემოებას მასთან ერთად დაკავებული სხვა პირებიც ადასტურებენ. დაკავების ოქმის ჩანაწერით, გ.გ.-ს სხეულზე დაზიანება არ აღენიშნებოდა, ხოლო დროებით მოთავსების იზოლატორში შედგენილი გარეგნული დათვალიერების ოქმის თანახმად, დაზიანებები ქონდა სახის არეში. სამედიცინო დოკუმენტების მიხედვით, იზოლატორში ყოფნის პერიოდში, დაკავებულ ოთხჯერ დასჭირდა სამედიცინო დახმარების გაწევა.

4.3. საქართველოს სახალხო დამცველმა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინა

1 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა კლუბ „Sector 26–ის“ მიმართ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია დაადგინა.

ბათუმში კლუბ „Sector 26–ის“ დაცვის თანამშრომლებმა ლგბტ თემის წარმომადგენელები კლუბიდან გააგდეს. შედეგად, მოქალაქეებს თვითრეალიზებისა და საზოგადოების სრულწლოვანი წევრებისათვის ხელმისაწვდომი სერვისით სარგებლობის საშუალება არ მიეცათ.

სახალხო დამცველმა კლუბის ხელმძღვანელს რეკომენდაციით მიმართა, რომ მის მიერ საჯაროდ შეთავაზებული სერვისის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს თანასწორობის პრინციპის დაცვით, რაც ასევე გულისხმობს კლუბის მომსახურე პერსონალისა და დაცვის თანამშრომლების მიერ კლუბის სტუმრების პატივისცემას, მათი სექსუალური ორიენტაციის ანდა სხვა მახასიათებლის მიუხედავად.

4.4. რეკომენდაცია არასრულწლოვანთა უფლების დარღვევის შემთხვევაზე არაეფექტურ რეაგირებასთან დაკავშირებით

3 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევის შემთხვევაზე არაეფექტურ რეაგირებასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა, რომ მასწავლებლებისა და სკოლის მიმართ არსებული პრეტენზიებისა და სავარაუდო ძალადობის გამო, მამა შვილებს არ უშვებს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების ინტერესების დაცვა და მათი უფლებების განხორციელება სახელმწიფოს ვალდებულებაა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ არ განახორციელა ქმედითი ზომები და არასრულწლოვნები კვლავ მოწყვეტილი არიან სასწავლო პროცესს. შესაბამისად, პასუხისმგებელმა პირებმა, ვისაც ევალებათ ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტზე რეაგირება, შესაძლოა თავად მიაყენონ ზიანი ბავშვს, თუ ისინი ეფექტურად ვერ ახორციელებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

4.5. ზოგადი წინადადება პარლამენტარების მიერ შეურაცხმყოფელი გამონათქვამების რეგულირების შესახებ

6 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა პარლამენტის წევრების მიერ სიძულვილის ენის ან დაუცველი ჯგუფების მიმართ სხვა სახის შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გამოყენების შესახებ ზოგადი წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს.

ზოგად წინადადებაში მითითებული გამონათქვამები საქართველოს VIII მოწვევის პარლამენტის წევრებს ეკუთვნის, თუმცა, მსგავსი გამონათქვამების მომავალში თავიდან აცილების მიზნით, სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია, საქართველოს პარლამენტმა, ვენეციის კომისიის ანგარიშის შესაბამისად, იმსჯელოს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული პარლამენტის წევრის „მოვალეობის შესრულების“ ცნების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრაზე და განიხილოს „მოვალეობის შესრულების“ ფარგლებს გარეთ გაკეთებული შეურაცხმყოფელი, „სიძულვილის ენის“ შემცველი განცხადებების, ან დანაშაულებრივი მოწოდებების გამო პარლამენტის წევრის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მექანიზმის შექმნის შესაძლებლობა.

4.6. „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების“ ქვეპროგრამაში ჩართვის შესახებ დროული გადაწყვეტილების რეკომენდაცია

20 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად გაჭირვებული ოჯახის „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამაში“ ჩართვის რეკომენდაციით მიმართა.

ე.კ.–მ სააგენტოს ჯერ კიდევ 2014 წელს მიმართა, თუმცა მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის ჩარევის შემდეგ შეიტყო, რომ მისი ოჯახი სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 2 ივნისის ბრძანებით დამტკიცებულ მომლოდინეთა რეესტრში არის აღრიცხვაზე აყვანილია.

რეკომენდაციაში სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ არასრულწლოვნების სიღარიბისგან და ცხოვრების არასათანადო დონისგან დაცვის მიზნით, სახელმწიფო ღონისძიებები ადეკვატურ დროში უნდა გატარდეს, რათა არ შემცირდეს პროგრამის ეფექტურობა და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს დროულად მიეწოდოთ ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება.

4.7. წინადადება „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში ცვლილებების შეტანის შესახებ

23 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში ცვლილებების შეტანის წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს.

წინადადებაში მიმოხილულია ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გაშვილებისა და მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების გაუმჯობესების მიზნით კანონპროექტში შესატანი ცვლილებები.

საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტში საჭირო ცვლილებები გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის სტანდარტების შესაბამისად განახორციელოს და ბავშვის საუკეთესო ინტერესების საფუძველზე განსაზღვროს შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პროცესის მომწესრიგებელი ნორმების ნორმატიული შინაარსი.

5. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა

5.1. სახალხო დამცველის 2016 წლის საქმიანობის ანგარიში

6 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტის, სამთავრობო

უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს 2016 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში გააცნო.

დოკუმენტში ასახულია სახალხო დამცველის აპარატში მოქალაქეთა მომართვიანობის, სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების და მათი შესრულების სტატისტიკური მაჩვენებელი, სახალხო დამცველთან არსებული მრჩეველთა საბჭოების საქმიანობა, აპარატის მიერ ადამიანის უფლებათა სფეროში განათლებისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით გაწეული სამუშაო; ცხელი ხაზის მონაცემები, ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფინანსური და ადამიანური რესურსების შესახებ მონაცემები და ინფორმაცია სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით შესრულებული პროექტების შესახებ.

საქმიანობის ანგარიშს საქართველოს სახალხო დამცველი საზოგადოების წინაშე 2013 წლიდან წარადგენს.

5.2. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის ანალიზი და რეკომენდაციები

9 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა საზოგადოებას სპეციალური ანგარიში წარუდგინა, რომელშიც „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონისა და პრაქტიკის ანალიზი და რეკომენდაციებია თავმოყრილი.

ანგარიში ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის, ეკონომიკური საქმიანობის, დე ფაქტო ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონსა და პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებსა და დაბრკოლებებს მიმოიხილავს და მათი აღმოფხვრის გზებს მიუთითებს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობა მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის, ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას.

5.3. სპეციალური ანგარიში – ქალთა და ბავშვთა უფლებები კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში

10 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა მედიის წარმომადგენლებს ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში 2014-2016 წლებში ქალთა და ბავშვთა უფლებების მდგომარეობის შესახებ სპეციალური ანგარიში, ასევე არსებული პრობლემების გადაჭრისათვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები წარუდგინა.

კონფლიქტები განსაკუთრებით მძიმე გავლენას ახდენს ქალთა და ბავშვთა მდგომარეობაზე. კონფლიქტის ტრავმა და მძიმე სოციალური პირობები პირდაპირ აისახება ოჯახში ძალადობაზე, რომლის მსხვერპლიც ყველაზე ხშირად ქალები და ბავშვები არიან. თუმცა, მცირეა იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა რიცხვი, რომლებიც ამ რეგიონებში ქალთა და ბავშვთა უფლებებზე მუშაობენ. არ ხდება მდგომარეობის სისტემატური მონიტორინგი და კვლევა.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებებში ოჯახში ძალადობა ერთ-ერთ რთულ და ამასთან, დაფარულ პრობლემას წარმოადგენს. ოჯახში ძალადობის მსხვერპლს მილიციაში სერიოზულად არ აღიქვამენ და თავს არიდებენ ასეთ შემთხვევებში ჩარევას.

5.4. სპეციალური ანგარიში თამბაქოს კონტროლის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ

15 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავრობის, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლებს ქვეყანაში თამბაქოს კონტროლის სფეროში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით სპეციალური ანგარიში წარუდგინა.

საკითხის შესახებ არსებული კვლევების თანახმად, საქართველოში ზრდასრული მოსახლეობის 30%–ზე მეტი მწეველია, ხოლო 3-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვების 60% თამბაქოს კვამლის მეორადი ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. მოქმედი ნორმები ვერ უზრუნველყოფს თამბაქოსგან თავისუფალ გარემოს. არ არსებობს თამბაქოს რეკლამის, პოპულარიზაციისა და სპონსორობის ყოვლისმომცველი აკრძალვა. ასევე, არ არსებობს ელექტრონული სიგარეტის რეალიზაციასა და რეკლამირებასთან დაკავშირებული რეგულაციები, რაც სახალხო დამცველის აზრით, დროულად უნდა იქნეს შემოღებული. ამავდროულად, საჭიროა მოქმედი რეგულაციების ეფექტური აღსრულება.

5.5. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლები მოინახულეს

16 თებერვალს სახალხო დამცველის მთავარმა მრჩეველმა კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა საკითხებში მედეა ტურაშვილმა, სამართლებრივმა ექსპერტმა ქეთევან ახობაძემ და სახალხო დამცველის შიდა ქართლის ოფისის წარმომადგენელმა დალი ჯანიაშვილმა სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობა მოინახულეს. სახალხო დამცველის წარმომადგენლები სოფელ ქორდში შეხვდნენ 2016 წლის 28 მაისს გაუჩინარებული ნიკა საღირაშვილის ოჯახს, სოფელ ბერბუკში დევნილი გიორგი გიუნაშვილის ოჯახს, რომელიც გასული წლის ივნისში დააკავეს ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით, ხოლო 2017 წლის 3 თებერვალს 20 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ასევე ეწვივნენ სოფელ ჯარიაშენს, სადაც გასულ წელს რუსმა სამხედროებმა გამყოფ ხაზზე გზა გაიყვანეს, რამაც კიდევ უფრო მეტ ოჯახს შეუზღუდა წვდომა საკუთარ მიწებზე, გაეცნენ მდგომარეობა და გაესაუბრნენ ადგილობრივ მაცხოვრებლებს.

5.6. საჯარო დებატები თემაზე „ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობა და საგზაო უსაფრთხოების პრობლემები საქართველოში“

24 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საგზაო უსაფრთხოების საკითხებში გაეროს ექსპერტის გელა კვაშილავას მოდერაციით, სახალხო დამცველმა მორიგი საჯარო დებატები გამართა თემაზე: „ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობა და საგზაო უსაფრთხოების პრობლემები საქართველოში“.

თავის მისასალმებელ სიტყვაში სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ავტოსაგზაო შემთხვევათა რაოდენობის ყოველწლიურ ზრდაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირებას ესაჭიროება სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართული მუშაობა, სწორი საინფორმაციო კამპანია და მოძრაობის წესების დაცვაზე პოლიციის მკაფიო მონიტორინგი, სადაც უმთავრესი ყველა მძღოლის კანონის წინაშე თანასწორობა იქნება.

შეხვედრაზე მოხსენებით გამოვიდნენ შინაგან

საქმეთა სამინისტროს კვლევის და განვითარების დეპარტამენტის დირექტორი ვალერი ლომუაშვილი, ორგანიზაცია „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარე ეკატერინე ლალიაშვილი და არასამთავრობო ორგანიზაცია აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) საჯარო პოლიტიკის მრჩეველი ნოდარ ტანგიაშვილი.

5.7. კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში უფლებრივი მდგომარეობის განხილვა საერთაშორისო მისიებთან

თებერვლის თვეში კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების საკითხებში სახალხო დამცველის მთავარმა მრჩეველმა მედეა ტურაშვილმა შეხვედრები გამართა ეუთოს უმცირესობათა საკითხების უმაღლესი კომისარიატის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და ევრო საბჭოს პოლიტიკური დირექტორატი წარმომადგენლებთან.

შეხვედრებზე საოკუპაციო ხაზზე გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვასა და უკანონო დაკავებების დროს მოპყრობის საკითხზე, გალის რაიონში მშობლიურ ენაზე განათლების უფლების ხელყოფაზე, კონფლიქტების დროს დაზიანებული სახლების რეაბილიტაცია-კომპენსაციის აუცილებლობასა და სხვა არსებულ პრობლემზე ისაუბრეს.

სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები

5.8. სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიისა და ადვოკატთა ასოციაციის ერთობლივი ტრენინგი

25-26 თებერვალს ჩატარდა ტრენინგი თემაზე „საპროცესო შეთანხმების მნიშვნელოვანი ასპექტები საერთაშორისო და ეროვნული სამართლისა და პრაქტიკის საფუძველზე“. ღონისძიებას ადვოკატთა ასოციაციის ოცი ტრენერი (ადვოკატი) ესწრებოდა.

სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელმა ლევან მესხორაძემ და ადვოკატმა გირშელ ძებნიაურმა საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული საერთაშორისო და ეროვნული რეგულაციები განიხილეს, რომელთა გამოყენება ხელს შეუწყობს ბრალდებულთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას სისხლის სამართალწარმოების პროცესში.

ღონისძიება დაფინანსდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (EWMI/PROLoG) პროგრამის ფარგლებში და განხორციელდა სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთობლივი თანამშრომლობით.

6. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა

6.1. შეხვედრა მარნეულის კულტურის ცენტრის მუშაკებთან

2 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის ქვემო ქართლის ოფისის თანამშრომლებმა სახალხო დამცველის მანდატი და საჯარო მოსამსახურეთა შრომით უფლებები გააცნეს ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება „კულტურის ცენტრის“ თანამშრომლებს. სახალხო დამცველის წარმომადგენლები გეგმავენ კულტურის ცენტრში არსებულ სხვადასხვა შემოქმედებით წრეში გაერთიანებულ 500-მდე ბავშვთანაც ისაუბრონ სახალხო დამცველის აპარატის მუშაობასა და ბავშვთა უფლებებს.

6.2. შეხვედრა მარნეულის მე-8 აზერბაიჯანული სკოლის მოსწავლეებთან

6 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული დეპარტამენტის ქვემო ქართლის ოფისის თანამშრომლები ირმა მჭედლიძე და მურადხან გუსეინოვი მარნეულის მე-8 საჯარო აზერბაიჯანული სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეებს შეხვდნენ და საქართველოს სახალხო დამცველის მანდატის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვის უფლებათა კონვენცია, საერთაშორისო და შიდასახელმწიფო დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები გააცნეს.

დისკუსიაზე ისაუბრეს ბავშვის უფლებებზე, ადრეული ქორწინების მავნე შედეგებზე, მშობლის უფლებათა შეზღუდვის მექანიზმებზე, სოციალურად დაუცველი ოჯახების ბენეფიტებზე და სხვა. მოსწავლეები ადრეული ქორწინების სამართლებრივი რეგულაციით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისათვის განკუთვნილი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით დაინტერესდნენ. შეხვედრის ბოლოს მონაწილეებს საჩუქრად ადამიანის უფლებათა დაცვის თემატიკის ამსახველი სხვადასხვა სახის ბუკლეტები და ფლაერები მიიღეს.

6.3. სამეგრელო ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საინფორმაციო შეხვედრას დაესწრო

8 თებერვალს, ზუგდიდში სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის სამეგრელო–ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსმა ლევან პაპავამ, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საინფორმაციო შეხვედრაში.

მისიის სათაო ოფისის მრჩეველმა ადამიანის უფლებების სფეროში იოჰან აქსანდერმა უარყოფითად შეაფასა აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის ინიციატივა ხურჩა–ნაბაკევის გამშვები პუნქტის დახურვასთან დაკავშრებით და განმარტა, რომ აღნიშნული უარყოფითად იმოქმედებს მოქალაქეთა სოციალურ–ეკონომიკურ მდგომაროებაზე. ლევან პაპავამ აღნიშნა, რომ გამშვები პუნქტების გაუქმება გადაადგილების თავისუფლების, განათლების, ჯანმრთელობის უფლების დარღვევას გამოიწვევს და აღნიშნულთან დაკავშრებით შეხვედრის მონაწილეებს სახალხო დამცველის პოზიცია და რეკომენდაცია გააცნო.

6.4. შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან

სახალხო დამცველის აპარატის შიდა ქართლის ოფისის წარმომადგენლებმა გორში, **15 თებერვალს** საზოგადოება „ბილიკში“ და **17 თებერვალს** გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთის საჯარო სკოლაში საინფორმაციო შეხვედრა გამართეს და სხვადასხვა სკოლების 9-10 კლასის მოსწავლეებთან საქართველოს სახალხო დამცველის მანდატის შესახებ ისაუბრეს.

აპარატის მონაწილეებს სახალხო დამცველის უფლება-მოსილება, ყოველდღიური საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ის საკანონმდებლო ბაზა გააცნეს, რომელიც სახალხო დამცველის აპარატის მუშაობას არეგულირებს. შეხვედრების ბოლოს, კი საინფორმაციო ბუკლეტები და ბროშურები დაურიგდა.

6.5. გარევაჭრობის რეგულაციის საჯარო განხილვა

16 თებერვალს დემოკრატიული ჩართულობის ზუგდიდის ოფისში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივითა და ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით გარევაჭრობის რეგულაციის საჯარო განხილვა გაიმართა, რომელზეც გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ საკრებულოს დადგენილების პროექტი წარმოადგინეს.

შეხვედრაზე სამეგრელო–ზემოს სვანეთის სამმართველოს უფროსმა ლევან პაპავამ აღნიშნა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის პროექტი არ ითვალისწინებდა გარე ვაჭრობის ნებართვის მოთხოვნით წარდგენილი განცხადების განხილვის ვადებს და მიზანშეწონილი იყო საკრებულოს სამართლებრივი აქტით კონკრეტული ვადის განსაზღვრა.

6.6. საინფორმაციო შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან

23 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსი მადონა ბასილაძე და სამმართველოს თანამშრომელი გიორგი ლაბაძე ქუთაისის სკოლა „მერმისის“ მე-9 კლასის მოსწავლეებს ესტუმრნენ და სახალხო დამცველის არჩევის, საქმიანობის განხორციელების ფორმები და მანდატი გააცნეს. ასევე, ისაუბრეს ბავშვის უფლებებზე და ადრეულ ასაკში ქორწინების აკრძალვაზე. მოსწავლეები ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხებით და სამმართველოს საქმიანობითაც დაინტერესდნენ.

7. წარმატებული საქმეები

7.1. საგამონაკლისო წესით არასრულწლოვანს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა

8 თებერვალს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის ძალისხმევით, არასრულწლოვან ვ.ბ.–ს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა და არასრულწლოვნის ელექტრონული პირადობის დამადასტურებელი მოწმობა გადაეცა.

სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანი ვ.ბ.–თვის მოქალაქეობის მინიჭების პროცედურის დაწყება ჭიანურდებოდა. ბავშვის

უფლებების ცენტრის მიმართვის შემდგომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები განახორციელა, შედგა სამუშაო შეხვედრები სახელმწიფო უწყებებს შორის და საბოლოოდ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საგამონაკლისო წესით, არასრულწლოვანს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა.

7.2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სავარაუდო დისკრიმინაცია აღმოფხვრა

სახალხო დამცველის დაინტერესებისა და საქმის შესწავლის დაწყების შემდეგ, **24 თებერვალს** ზესტაფონის საკრებულომ ცვლილებები შეიტანა საკრებულოს განკარგულებაში და სოციალური დახმარების მიმღებ პირთა წრეს, სადაც მარტოხელა დედები იყო განსაზღვრული, მარტოხელა მამებიც დაემატა. შესაბამისად, „მარტოხელა მშობლები, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის ბავშვი/ბავშვები მიიღებენ სოციალურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით“.

საქმის შესწავლა სახალხო დამცველმა ააიპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ანა არგანაშვილის მიმართვის საფუძველზე დაიწყო, რომელიც მიუთითებდა, რომ პროგრამიდან მარტოხელა მამების გამორიცხვა სქესის ნიშნით დისკრიმინაციას წარმოადგენდა.

8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

8.1. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები

3 თებერვალს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის შესრულების შესახებ საქართველოს მთავრობის მე–4 პერიოდული მოხსენების შესახებ დასკვნითი შენიშვნები მიიღო.

დასკვნით შენიშვნებში ასახულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯები, კერძოდ, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მესამე დამატებითი ოქმის რატიფიცირება, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღება, სოციალური დახმარების სისტემის გაუმჯობესება და სახალხო დამცველის წინადადების საფუძველზე განსაზღვრული – ქორწინების მინიმალური ასაკი.

კომიტეტის რეკომენდაციები მიმართულია ბავშვის ფიზიკური დასჯის და შეურაცხყოფის, სექსუალური ექსპლუატაციის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საუკეთესო ინტერესების განხორციელების, ბავშვთა სამედიცინო სერვისების გაუმჯობესებისა და შესაბამისი ოჯახური გარემოს უზრუნველყოფის საკითხებზე.

კომიტეტი ხაზს უსვამს მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმის არსებობის დიდ მნიშვნელობას და მიესალმება სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ განხორციელებულ საქმიანობას. ამასთან, აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ, გამომდინარე ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელი ინსტიტუტის მნიშვნელობიდან ბავშვის უფლებების დაცვის საქმეში, უნდა გამოყოს საჭირო რესურსები, რათა გაძლიერდეს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის საქმიანობა.

8.2. საქართველო AMNESTY INTERNATIONAL–ის ყოველწლიურ ანგარიშში

21 თებერვალს საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ „ამნესტი ინტერნაციონალმა“ (Amnesty International) 2016-2017 წლის „მსოფლიოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ“ ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც თავმოყრილია ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე ძირითადი მიგნებები მსოფლიოს 159 ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც.

ანგარიშში, ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებზე დაყრდნობით, აღნიშნულია, რომ კვლავ არსებობს საქართველოში სასამართლო დამოუკიდებლობასა და შერჩევით სამართალთან დაკავშირებული წუხილები. მაგალითის სახით ორგანიზაციამ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისრის 2016 წლის 12 იანვრის ანგარიში მოიყვანა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სასამართლოები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მიმართ სასჯელის სახით იყენებენ თავისუფლების შეზღუდვას ან თავისუფლების აღკვეთას, მაშინ როდესაც მსგავს საქმეებში პროსახელისუფლებო აქტივისტების მიმართ გამოყენებულია გირაო და ჯარიმა. აღნიშნულ კონტექსტში ასევე, მიმოხილულია რამდენიმე გახმაურებული საქმე, მათ შორის „რუსთავი 2“-ის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამდებობის პირების (ე.წ. კაბელების საქმე) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის საქმეზე.

მეტწილად უზრუნველყოფილი იყო მშვიდობიანი შეკრების უფლება, თუმცა აღნიშნულია კონკურენტების წინააღმდეგ მმართველი პარტიის აქტივისტების და ზოგიერთ შემთხვევებში ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების მხრიდან პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობის ინციდენტები. ამ კუთხით მიმოხილულია 2016 წელის 22 მაისს, ადგილობრივი თვითმმართველობის შუალედური არჩევნების დროს სოფელ კორცხელში მომხდარი დაპირისპირება.

ანგარიშის იმ ნაწილში, რომელიც წამებას და არასათანადო მოპყრობას ეხება, აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეიმუშავა კანონმდებლობა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევებზე „დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის" შესაქმნელად. ამ კონტექსტში ანგარიშში მოყვანილია დემურ სტურუას თვითმკვლელობის საქმე.

აგრეთვე, გამოთქმულია შეშფოთება გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი (ლგბტ) ადამიანების უფლებათა დარღვევებზე. კერძოდ, ადგილობრივ ქალთა უფლებადამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებზე დაყრდნობით, მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ყველაზე მცირე, 35 თავდასხმის ფაქტი დაფიქსირდა ლგბტ ქალებზე. ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი შეუერთდა ადგილობრივ უფლებადამცველ ჯგუფებს და ლგბტ პირთა წინააღმდეგ მომხდარ დანაშაულებში დამნაშავე პირების პასუხისმგებლობის დაკისრების და ეფექტური გამოძიების არარსებობის გამო შეშფოთება გამოთქვა.

ორგანიზაცია ასევე აღნიშნავს, რომ სეპარატისტული აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლებზე მავთულხლართების გავლებამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებზე. ამასთან, ანგარიშში ნათქვამია, რომ „დე ფაქტო ხელისუფლება და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში განთავსებული რუსი სამხედროები განაგრძობენ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლებზე გადაადგილების შეზღუდვას, აკავებენ ათობით ადამიანს. რამდენიმე დაკავებულმა ხანგრძლივი დაუსაბუთებელი დაკავების დროს წამებისა და არასათანადო მოპყრობის, მათ შორის ცემის შესახებ განაცხადა".

9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

9.1. ახალი თანამშრომელი

თებერვლიდან ევროკავშირის პროექტში – „ბრძოლა დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ საქართველოში", ადამიანის უფლებათა უფროსი ექსპერტის თანამდებობაზე კონკურსის წესით შეირჩა თამარ ხიდაშელი, ხოლო ადმინისტრაციული ასისტენტის თანამდებობაზე ნინო სამხარაძე.

9.2. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული მონიტორინგი

თებერვალში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა პენიტენციური დეპარტამენტის 18 სხვადასხვა დაწესებულებებში, თბილისის N1 დროებითი მოთავსების იზოლატორში და თბილისის რეფერალური ჰოსპიტალის ფსიქიატრიულ განყოფილება „უნიმედ კახეთში" მონოტორინგი განახორციელეს და 72 პატიმარი, დაკავებული და ფსიქიატრიულ განყოფილებაში მოთავსებული პაციენტი მოინახულეს.

შემოწმების პერიოდში გამოვლენილი საკითხების თაობაზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება განახორციელა და სახელმწიფო ორგანოებს პატიმართა უფლებების სავარაუდო დარღვევების შესახებ მიმართა.

9.3. მომართვიანობის სტატისტიკა

თებერვლის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 706 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ 536 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი — 8
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 41
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი — 224
- რეგიონული დეპარტამენტი — 139
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი — 40
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი — 30
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 16

- ანალიტიკური დეპარტამენტი — 6
- თანასწორობის დეპარტამენტი — 26
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი — 6



შემოსული განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა

- ინფორმაციის მიღების უფლება — 26
- დისკრიმინაცია — 12
- რელიგიის თავისუფლება — 1
- გადაადგილების თავისუფლება — 2
- საერთო სასამართლოებში საქმის განხილვის გაჭიანურება — 1
- სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაჭიანურება — 7
- ეკოლოგიურ-გარემოსდაცვითი უფლებები — 1
- ხანდაზმულთა უფლებები — 1
- მიგრანტთა, თავშესაფრის მაძიებელ და თავშესაფრის მქონე პირთა უფლებები — 1
- ეკო-მიგრანტთა უფლებები — 1
- დევნილთა უფლებები — 7
- სოციალური დახმარებს საკითხი — 12
- შრომითი უფლებები — 11
- საკუთრების უფლება — 12
- უფლება სათანადო საცხოვრისზე — 5
- პატიმრობების პირობები — 121
- პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა — 34
- წამება და არასათანადო მოპყრობა — 39
- ბავშვის უფლებები — 29
- გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებები — 26
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები — 8
- სხვადასხვა — 349



კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ოზურგეთი:
დავით აღმაშენებლის 9
ტელ.: 0496 27 30 53
მობ.: 593 44 44 27

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის 4
ტელ.: 0362 22 32 83
მობ.: 577 12 27 70;
591 96 88 82

ზუგდიდი:
კოსტავას 58
ტელ.: 0415 22 36 11
მობ.: 595 52 53 56

ბათუმი:
მაზნიაშვილის 9
ტელ.: 0422 27 05 44
მობ.: 595 80 78 43

მარნეული:
რუსთაველის 51
ტელ.: 0357 22 19 70
მობ.: 595 52 53 57

გორი:
სამების N1
ტელ.: 0370 27 05 49
მობ.: 551 66 14 77

ქუთაისი:
რუსთაველის 18
ტელ.: 0431 25 33 50
მობ.: 577 55 33 81

თელავი:
ჩოლოყაშვილის 3
მობ.: 591 88 35 38
ტელ.: 0350 27 99 27

ცხელი ხაზი – 1481

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ნიკო თათულაშვილი
ლევან მესხორაძე